წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2026 წლის 30 იანვარი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 დეკემბრის №26 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 31/01/2026 წ.,სარეგ.კოდი 010260020.35.104.016595) და დადგენილების დანართის:

ა) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ზოგიერთ სხვა დაავადებებში ჩაითვალოს: პარკინსონის დაავადება, ლეიკემია, გაფანტული სკლეროზი, მოტონეირონთა დაავადება, სირინგომიელია, ცერებრული დამბლა, კუნთთა პროგრესიული დისტროფია, სისტემური წითელი მგლურა, იცენგო-კუშინგი, მალასორბცია, რომლებიც სისტემატურად საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობასა და კლინიკო-ლაბორატორიულ კვლევებს.“;

ბ) 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) სსე (სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა) შემოწმების აქტის ამონაწერი სტატუსით „მკვეთრად გამოხატული“;

გ) 0-18 წლამდე ბავშვების შემთხვევაში სსე(სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა) შემოწმების აქტის ამონაწერი სტატუსით „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე“ და სამედიცინო ფორმა №100;

დ) განმცხადებლის საბანკო ანგარიში.“;

გ) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ონკოლოგიური პაციენტის ჯანმრთელობის ცნობა ფორმა №100 საჭირო კვლევის მითითებით;

გ) ცნობა სსიპ „ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოდან“ სახელმწიფოს მიერ მაღალტექნოლოგიური სამედიცინო კვლევების დაფინანსების თაობაზე;

დ) მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაცემული შესაბამისი ანგარიშფაქტურა და კალკულაცია.";

დ) 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„3. წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან განმცხადებლის უძრავი ქონების (საცხოვრისი) არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საჯარო რეესტრიდან განმცხადებლის ოჯახის შემადგენლობის შესახებ;
დ) ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის პირის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტი (მკვეთრად ან/და მნიშვნელოვნად გამოხატული).".

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ცოტნე შონია**